შ.პ.ს „ქორ“ არქიტექტურა და სანებართვო სერვისები LTD "CORE" Architecture and permition services

არქიტექტურა და სანებართვო სერვისები

მის: თბილისი, ქუთაისის ქუჩა №10 tel: (+995 596 84 00 01) core.org.ge@gmail.com www. core.org.ge

# მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ქ. თბილისი, ავთო ვარაზის ქ N22ა, ს.კ. 01.14.01.001.515. შ.პ.ს.”ლიდერ დეველოპმენტ ჯგუფი”-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტით გათვალისწინებული ოცდასამ (23) სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ორგანიზების პროექტი.



ვამტკიცებ შ.პ.ს. „ქორ''- ის

დირექტორი, " ლ.ბოხუა

„2 " „ " 2026წ.

არქიტექტურა და სანებართვო სერვისები

ქ. თბილისი, ავთო ვარაზის ქ N22ა, ს.კ. 01.14.01.001.515. შ.პ.ს."ლიდერ დეველოპმენტ ჯგუფი"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტით გათვალისწინებული ოცდასამ (23) სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ორგანიზების პროექტი.

ქ. თბილისი

2026 წელი

# შინაარსი


I განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. სამშენებლო პირობების დახასიათება
3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები
4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია
5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
6. მშენებლობის განხორციელების რიგითობა და ეტაპები
7. ხანგრძლივობის დადგენა
8. უსაფრთხოების ტექნიკა
9. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი.

III გამოყენებული ლიტერატურა

IV მშენებლობის წარმოების გრაფიკი

V ტოპოგებმაზე დატანილი დეტალები




# I განმარტებითი ბარათი

## 1. საერთო ნაწილი

ა) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

– დავალება პროექტირებაზე;

– პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები;

– რაიონის სიტუაციური გეგმა;

- გეოდეზიური გეგმები და პროფილები;

- გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

გ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) და №255 დადგენილების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტის ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

## 2. მშენებლობის პირობების დახასიათება

ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქ N22ა, რსებულ მოედანზე, ხორციელდება ოცდასამ (23) სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.



## 3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

საპროექტო შენობა წარმოადგენს როგორც კონსტრუქციული ისე არქიტექტურული თვალსაზრისით ოცდასამ (23) სართულიან მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, გეომეტრიული თვალსაზრისით შენობა მართკუთხა მოხაზულობისაა (ზომით ღერძებში 57.90X17.30 მ.), საავტომობილე ავტოშარეხებისთვის განკუთვნილი სართულების სიმაღლე შეადგენს 3.00 მ ქვედა საცხოვრებული ფართებისთვის განკუთვნილი სართულის სიმაღლე შეადგენს 3.30 მ, ხოლო შენობის დასრულების შემდეგ მაქსიმალური სიმაღლე 0.00 ნიშნულიდან იქნება +64.40მ.

### საპროექტო შენობის კონსტრუქციული მახასიათებლები:

საძირკვლები: - შენობის საძირკველი წარმოადგენს ნაბურღ–ნატენ ხიმინჯებს, დიამეტრით 120 სმ, როსტვერკებად გამოყენებულია რკინაბეტონის მთლიან ნაკვთიანი ფილა სისქით 100 სმ.

რიგელები და სვეტები: - შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური სივრცითი კარკასით შემდგარი მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტების მეშვეობით (მონოლითური სვეტების ზომებია, 120X60სმ, 120X50სმ, 100X50სმ, 60X80სმ, 80X50სმ,40X40სმ), რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მონოლითური რკინა-ბეტონის რიგელების მეშვეობით (მონოლითური რიგელების ზომებია 60X50სმ, 50X50 სმ, 40X50სმ, 20X50სმ,),

რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო შენობის მდგრადობა-საიმედოობას და სეისმო მედეგობას.

გადახურვის ფილები - სართულშუა გადახურვები შესრულდება მონოლითური რკინაბეტონის 18სმ, 20სმ-იანი ფილების მეშვეობით. კარკასის შემავსებელი: - მონოლითური სივრცითი კარკასი შეივსება სამშენებლო მსუბუქი ბლოკით ნაშენი კედლებით ( გარე პერიმეტრზე გაუკეთდება 300X200X400 სმ, ხოლო შიდა ტიხრებად გამოყენებული იქნება 100X200X400 სმ.)

სართულებსშორის კავშირი: საცხოვრებელი სართულები ერთმანეთთან დაუკავშირდება მონოლითური რკინა-ბეტონის კიბის მეშვეობით.

შენობის გადახურვა: საპროექტო შენობას გააჩნია მარტივი კონფუგურაციის მონოლითური ფილის ტიპის გადახურვა. ზრუნველყოფა: ელ.ენერგიის და საინჟინრო კომუნიკაციები სამშენბლო მოედანზე შეყვანილი არის.

## 4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა) სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით სნ და წ 3.01.01 – 85 №1 და №2 დებულებების მიხედვით. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება

ბ) სამუშაოების დაწყების წინ სპეციალისტების მიერ სრულდება ტოპო–გეოდეზიური სამუშაოები შენობის მიბმითა და ღერძების დაკვალვით.

გ) სამშენებლო – სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოების და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა-მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.



## 5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

მოცემული სამშენებლო სამუშაოები იყოფა ორ რიგად – მოსამზადებელი სამუშაოები და ძირითადი სამშენებლო სამუშაობი;

მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება - სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით:

1. ტერიტორიაზე შესასვლელში შესაბამისი გამართხილებელი ბანერების გაკვრა; სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი ღობის და ჯიხურის მონტაჟი, სამშენებლო მასალის დასაწყობება, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით;
2. დროებითი წყლის გადამყვანების და კანალიზაციის მოწყობა, დროებითი ელ. მომარაგების მოწყობა.
3. საპროექტო შენობის გეოდეზიური დაკვალვა.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს შემდგომ მუშა-პროცესს. კერძოდ:

1. მიწის სამუშაოების დაწყება.
2. რკ/ბეტონის სამუშაოები – საპროექტო შენობის ფუძე-საძირკვლების და ძირითადი კარკასის მოწყობა;
3. არამზიდი კონსტრუქციების აშენება, საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟი;
4. სახურავის მოწყობა, შენობის კედლების შევსება-შეფუთვა შიდა და გარე სარემონტო სამუშაოები.
5. ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა;

შენიშვნა: – ყველა ფარული სამუშაოების დასრულება მოხდეს შესაბამისი აქტის შედგენით, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები – დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი;

a) მოცემულ მშენებლობაზე ფარული სამუშაოების აქტები შედგეს შემდეგ ფარულ სამუშოებზე – მიწის სამუშაოების დასრულებისას, საძირკვლის კონსტრუქციების არმირებაზე მათ დაბეტონებამდე, საძირკვლის ჰიდროიზოლაციაზე, სვეტების, სართულშუა გადახურვის ფილებისა და რიგელების, მათი კვანძების, კონსტრუქციების არმირების დასრულებაზე მათ დაბეტონებამდე; აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

b) სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამშენებლო მოედნის აღჭურვა ცხრილში ჩამოთვლილი (II თავი) მანქანა – მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

გ) სამონტაჟო სამუშაოების პროცესში და საინჟინრო ქსელების გაყვანისას სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს შენობისა და ნაგებობის გეომეტრიული პარამეტრების გეოდეზიური კონტროლი.

დ) მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე ტექნიკური უსაფრთხოების და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.



## 6. მშენებლობის განხორციელების რიგითობა და ეტაპები

სამშენებლო სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობის მიხედვით ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი სამშენებლო ეტაპები:

**I რიგის სამუშაოები :**

1. სამშენებლო მოედნის მოწესრიგება/შემოღობვა;

აღნიშნული ეტაპი დასრულებულია

2. შენობის ღერძების გეოდეზიური დაკვალვა; (ორივე ეტაპზე 120 დღე).

აღნიშნული ეტაპი დასრულებულია

**II რიგის სამუშაოები:** ძირითადი სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოიყო სამი ეტაპი, რომლებშიც გაერთიანდა ერთი სახის სამუშაოები:

3. შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები ,ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობა, შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები. (გ'-ა' და 7-1 ღერძებში საპროექტო კონსტრუქციული სისტემის მოწყობის გარეშე.) (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 270 დღე).
4. შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან პირველი და მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა. (გ'-ა' და 7-1 ღერძებში საპროექტო კონსტრუქციული სისტემის მოწყობის გარეშე.)
(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 90 დღე).
5. შენობა-ნაგებობის მესამე და მეოთხე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა. (გ'-ა' და 7-1 ღერძებში საპროექტო კონსტრუქციული სისტემის მოწყობის გარეშე.) (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
6. შენობა-ნაგებობის მეხუთე და მეექვსე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
7. შენობა-ნაგებობის მეშვიდე და მერვე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
8. შენობა-ნაგებობის მეცხრე და მეათე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
9. შენობა-ნაგებობის მეთერთმეტე და მეთორმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
10. შენობა-ნაგებობის მეცამეტე და მეთოთხმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
11. შენობა-ნაგებობის მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
12. შენობა-ნაგებობის მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
13. შენობა-ნაგებობის მეცხრამეტე და მეოცე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
14. შენობა-ნაგებობის ოცდამეერთე და ოცდამეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
15. შენობა-ნაგებობის ოცდამესამე სართულის.სახურავისა და გადახურვის მოწყობა. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 100 დღე).
16. 0.00-დან 9.00 ნიშნულამდე (კომერციული ფართი) გ'-ა' და 10-1 ღერძებში ძირითადი კონსტრუქციული ფილის მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).
17. შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის ტექნიკური ქსელების მოწყობა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 70 დღე).

18. შენობა ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა.(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 80 დღე).

სულ დადგინდა 18 ერთეული ეტაპი.

შენიშვნა : სამშენებლო ეტაპებიის დასახელებები გადმოტანილი იქნა №255 დადგენილების 20 მუხლში მითითებული დასახელებების იდენტურად.

სულ დადგინდა თვრამეტი ერთეული ეტაპი.

## 7. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა და სამუშაოების წარმართვის თავლსაზრისით ობიექტის არსებული, არქიტექტურულ – მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით მარტივი სირთულის კატეგორიისაა.

მშენებელობის ხანგრძლივობას ვადგენთ **T**=50 თვეს.

## 8. უსაფრთხოების ტექნიკა

ა) უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

ბ) მუშა–მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.

გ) სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა–მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.

დ) მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III – 4 – 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ – საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ძირადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.
2. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების ღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოზე წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე ღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.
3. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.
4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.1388. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
5. იკრძალება ელექტრო ხელსაწყოების სხვა ადგილზე გადატანა მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ელექტრო ხელსაწყოები სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

# 9 .ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

ა) მშენებლობის სამუშაოების დაწყება დაიშვება ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა ან განადგურება. (ამ შემთხვევაში შეხება არ ხდება).

გ) დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში და სხვა მილსადენებში ბეტონის და

სხვა ძიმიური ხსნარების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

დ) საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

ე) მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად

ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხვდეს მტვრის გაბნევა და

სელიტებულ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს

ინვენტარული კონუსური ნაგავ გამტარებით. ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ დახურულ ავტო-თვითმცლელი მანქანების ძარებში



# II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

| № | დასახელება | მარკა | რაოდ.ცალი |
|---|---|---|---|
| 1 | ერთჩამჩიანი ექსკავატორი ბულდ. ფარით ჩამჩის მოცულობით 0.5მ$^3$ | | 1 |
| 2 | სამშენებლო საწევსელა | | 0 |
| 3 | ბეტონის პომპა | | 1 |
| 4 | სიღრმითი ვიბრატორი | | 1 |
| 5 | თვითმცლელი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშ. ტვირთის შემოსატანად. | | 2 |
| 6 | თორკრედ-დანადგარი | ეგ-21 | 1 |
| 7 | ავტობეტონ მრევი მიქსერი | | 1 |
| 8 | გადასატანი კომპრესორი | სო-45 | 1 |
| 9 | შესადუღებელი აბრეშატი | სო-48 | 1 |
| 10 | ცემენტის ფენის მომასწორებელი აბრეშატი | სო-89 | |
| 11 | შესალეს-მომასწორებელი აბრეშატი | სო-54 | 1 |
| 12 | ელექტრო შესადუღებელი აპარატები | კომპ. | 1 |
| 13 | ავტომენტშრი შედუღების დანადგარები | კომპ. | 1 |
| 14 | სამღებრო სადგური | პსპ-2 | 1 |
| 15 | ლითონის სახარაჩო სექციები 50კვ.მ ფართზე | | |
| 16 | ანევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა | | |
| 17 | შხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობაინსტრუმენტები: ნიჩბები, ბრეზი, რომები, წერაქვები და სხვა. | კომპ. | 3 |

შემსრულებელი ნ.სვიანაძე

# III გამოყენებული ლიტერატურე


| | |
|---|---|
| СН И П III -4-80 | Техника безопасности в строительстве |
| СН И П **3**-02-01-87 | Земляные сооружения |
| СН И П **1-04-03-85** | Нормы проолжительности строительства и задела в строительстве предприатий зданий и сооружений |
| СН И П **3**-01-01-85 | Организация строительного производства |
| СН И П **РН-73** | Расчетные нормативы |




ნებისმიერი ტექსტი ან ციფრული ინფორმაცია

| N | სამუშაოთა დასახელება | დღე | თვეების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ტექნიკური პირობების მოპოვება ობიექტის გაყვანა | | |
| 2.აბ | ნიადაგის ექსკავაციის სამუშაოები | 60 | |
| 3.აბ | ნაგებობა-ნაკეთობების მონტაჟი სამუშაო ტერიტორიის მოწყობა, სანიაღვრე და სანიაღვრე ჭების მოწყობა, სანიაღვრე-საკანალიზაციო ხაზის გაყვანა, ელექტრომომარაგების სამუშაოები | 270 | |
| 4.აბ | წყალგაყვანილობის, გათბობის და ცენტრალური სისტემების მონტაჟი, სანიაღვრე სისტემები | 90 | |
| 5.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 6.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 7.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 8.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 9.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 10.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 11.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 12.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 13.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 14.აბ | შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა, სანიაღვრე სისტემები | 100 | |
| 15.აბ | შენობა-ნაგებობების და სანიაღვრე სისტემების მონტაჟი; არატიპიური ელემენტების მონტაჟი, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 16.აბ | 0.00-დან 9.00 ნიშნულამდე (ერთეული ზ - ა, ა - ბ, ბ - გ და ა.შ.) ელემენტების მონტაჟი, სანიაღვრე სისტემები | 70 | |
| 17.აბ | შენობა-ნაგებობების ტერიტორიის ლანდშაფტური მოწყობა. ტექნიკური ზედამხედველობა | 70 | |
| 18.აბ | ბოძის მონტაჟი ელექტრომომარაგების, ბოქლომის ჩამაგრება, ბოძის ფუნდამენტის ბეტონირება, სანიაღვრე სისტემები | 80 | |

ნებისმიერი ტექსტი ან ციფრული ინფორმაცია

# მშენებლობის ორგანიზების გრაფიკი (გენგეგმა)







პირობითი აღნიშვნები

- სამშენებლო ღობე
- სამშენებლო ღობე ქოლგით
- ტრანსპორტის მოძრაობა
- ქვეითთა გადაადგილების მიმართულება
- სამშენებლო ტექნიკის გადაადგილების მიმართულება

საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები

- ტ7 შუქ. 2 ცალი

## სამშენებლო ღობის ჭრილი




შენიშვნა:

სამშენებლო ღობის განთავსების არეალში არ ხვდება არც ერთი ხე-მცენარე

შენიშვნა:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილების შესაბამისად სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება აკრძალულია 08:00-დან 11:00-მდე და 17:00-დან 20:00-მდე პერიოდში

მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

| მასშტაბი | ფორმატი | თარიღი |
|---|---|---|
| პირობითი | A3 | 17.04.2025 |

საკადასტრო კოდი: 01.14.01.001.515

მისამართი: ა.ვარაზის ქუჩა №22ა